# შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (9.669)

14-21 თებერვალი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ადგილობრივი თვითმმართველობის კონკურსის შედეგები ცნობილია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის შედეგები ცნობილია. მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსი გამოცხადდა 2014 წლის 5 დეკემბერს 85 (ოთხმოცდახუთი) ვაკანტურ თანამდებობაზე, მათ შორის 81 გამგეობაში, 4 (ოთხი) მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

დარეგისტრირდა 175 კონკურსანტის 419 (ოთხას ცხრამეტი) განაცხადი.

კონკურსის პირველ ეტაპზე, განცხადებების გადარჩევა მოხდა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ. განცხადების გადარჩევის შედეგად 11(თერთმეტი) კონკურსანტს უარი ეთქვა ტესტირების ეტაპზე გადასვლაზე არასრულყოფილი დოკუმენტების წარმოდგენის გამო. ტესტირებისთვის გადასალახი ბარიერი დადგენილი იყო 31 ქულა. ტესტირების ეტაპი ჩატარდა იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ 2014 წლის 23 დეკემბერს. ტესტირებისთვის დადგენილი ზღვარი გადალახა 103 (ას სამი) კანდიდატმა, 19(ცხრამეტი) კანდიდატი არ გამოცხადდა ტესტირებაზე. ტესტირების შედეგი გაასაჩივრა სამმა კანდიდატმა. სამივე საჩივარი ეხებოდა ტექნიკურ საკითხებს. საპრეტენზიო კომისიამ არც ერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა. გასაუბრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ერთმა კანდიდატმა. კონკურსში მონაწილეთა შორის 44(ორმოცდაოთხი) კანდიდატი დანიშნული იყო მოვალეობის შემსრულებლად კონკურსის გამოცხადებამდე. კონკურსის შედეგების მიხედვით 68 (სამოცდარვა) ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატი დასანიშნად იქნა წარდგენილი.

38 (ოცდათვრამეტი) შემთხვევაში მიღებულია გადაწყვეტილება ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად იმ პირთა წარდგენის შესახებ, რომლებიც კონკურსის გამოცხადებამდე დანიშნული იყვნენ მოვალეობის შემსრულებლებად. კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა 17(ჩვიდმეტი) ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.
2. იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.
3. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.
4. ადმინისტრაციული სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში, 6(ექვსი ) ვაკანტური თანამდებობა.
5. ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში.
6. ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში.
7. ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში .
8. ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი არქმშენინსპექციის, ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების საკითხებში.
9. საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში.
10. სოფელ მირზაანის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი
11. სოფელ ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი
12. სოფელ სამთაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი

## მამა ნიკოლოზის დაბრუნება



დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღოლად დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე დაინიშნა. გადაწყვეტილება ეპარქიის მღვდელმთვარმა მეუფე დიმიტრი კაპანაძემ მიიღო. მამა ნიკოლოზი საკათედრო ტაძარში მსახურებას უკვე შეუდგა.

მეუფის გადაწყვეტილებამ მრევლი განსაკუთრებულად გაახარა. ისინი ამბობენ, რომ მამა ნიკოლოზის დაბრუნება ბევრი მათგანის ოცნება იყო. ისინი ამბობენ, რომ მეუფე დიმიტრი კაპანაძემ მრევლის ოცნების ასრულება პირველივე გადაწყვეტილებით შეძლო.

**ლალი მანგოშვილი** (მრევლი): „მამა ნიკოლოზს იმხელა ღვაწლი აქვს ჩვენი რაიონის წინაშე, განსაკუთრებით ამ ტაძრის მშენებლობის საკითხში. საძირკველის გაჭრის მომენტიც კი მახსოვს, აქ რომ მოვედი და ისევ მამა ნიკოლოზი დავინახე, ძალიან ბედნიერი ვარ, ასე მგონია, საოცარი დღესასწაულია.“

**ვაჟა პაპუაშვილი** (მრევლი): „მრევლი ელოდებოდა მამა ნიკოლოზს, იყო მოთხოვნა, რომ ისევ ამ ტაძარს თავისი მოძღვარი დაბრუნებოდა. მამა ნიკოლოზი უდიდესი სულიერი მოძღვარია. დიდი ღვაწლი მიუძღვის მრევლის შემოკრებაში, ტაძრების მშენებლობაში... მისი სამთაწყაროში გადაყვანაც ისე მოხდა, რომ ქალაქის მრევლს თითქოს რაღაც დააკლდა, თუმცა სამთაწყაროშიც წარმატებით მოღვაწეობდა“.

მამა ნიკოლოზის ღვაწლი გასულ წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამაც დააფასა. გასულ ზაფხულს დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე დედოფლისწყაროობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მამა ნიკოლოზი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ დასახელდა.

საკათედრო ტაძრის წინამძღოლი გაზეთ „შირაქს“ ეპარქიაში დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა და სამთაწყაროში მისი მოღვაწეობის პერიოდი შეაფასა.

**მამა ნიკოლოზ ლომსაძე:** „როგორც ცნობილია, საკათედრო ტაძარში ორი მოძღვარი მოღვაწეობდა, ისინი გადაყვანილნი იქნენ მარგვეთის და უბისის ეპარქიაში, რის შემდეგაც ეპისკოპოსმა დიმიტრიმ მიიღო გადაწყვეტილება, გადმოვეყვანე და ამ ტაძარში მემსახურა. ხოლო, სამთაწყაროს წმინდა ნინოს სამლოცველო სახლში, სადაც მე ვმსახურობდი, იქ გაიხსნა მონასტერი, დადგინდა წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი იაკობი, ბერებთან და მორჩილებთან ერთად იმსახურებს.

**- მამა ნიკოლოზ, როგორ შეიძლება შეფასდეს თქვენი სამთაწყაროში მოღვაწეობა, რისი მიღწევა მოხერხდა?**

- რაც შეეხება სამთაწყაროს, გახსოვთ, რომ დაძაბულობა იყო მუსულმანებსა და მართლმადიდებლებს შორის, პატარა დაპირისპირება იყო. თუმცა, ღვთის მადლითა და წყალობით ამჟამად დაპირისპირებას ადგილი აღარ აქვს. დამშვიდდა და დაწყნარდა სიტუაცია. როგორც აჭარელები, ისე ინგილოები ერთად ცხოვრობენ და ძალიან კარგი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მიმდინარეობს წირვალოცვები, მრევლი დადის. ძალიან ბევრი მოინათლა, როგორც აჭარელები, ისე ინგილოები.

**- ცნობილია, რომ სამთაწყაროში ეკლესია არ არის და მისი მშენებლობა იგეგმება...**

- სამლოცველო სახლში ცოტა ცუდი მდგომარეობა იყო, წვიმის წყალი ჩამოდიოდა. კეთილი ადამიანების მიერ და შემოწირულობებით გაკეთდა სამლოცველო, ასევე საცხოვრებელი მოეწყო. შესაძლებელი გახდა მონასტერმა იარსებოს. იქ ოთხი ოთახი გამოიყო იმისათვის, რომ ბერებმა იცხოვრონ. რომელიც გასაკეთებელია და ალბათ უახლოეს ხანში მოეწყობა. რაც შეეხება ბოლო წლებში ადგილობრივების რწმენის განმტკიცების საკითხს, დადებით ცვლილებებს ნამდვილად ვამჩნევ. სიყვარულით და განსაკუთრებული სითბოთი მხვდებოდნენ, ასევე მიიღეს ახალი წინამძღოლი. მე ვფიქრობ, რომ ყველანაირად სიმშვიდე და სიყვარული დაისადგურებს. მალე დავინახავთ, რომ მათი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი იქნება და დადებითი შედეგები შესამჩნევი იქნება.

**- გარდა ამისა, კიდევ რა ცვლილებებია ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიაში?**

- ჩამოვიდნენ მონაზვნები და ბერები. ისინი ერთად იყვნენ ახალციხის ეპარქიაში და მეუფე დიმიტრისთან მსახურობდნენ, მის გვერდით იყვნენ და ახლა აქ იმსახურებენ. ასევე ქალაქ დედოფლისწყაროში, სამლოცველო სახლთან განთავსდნენ მამები, რომლებიც ყოველდღიურად ატარებენ მწუხრსა და ცისკარს. ასევე, მონაზვნები ღვთისმშობლის მიძინების ტაძარშიც იქნებიან, ისინი მედავითნეები არიან და მსახურებაში ერთად ვართ“.

წელიწადნახევრის წინ მამა ნიკოლოზი დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან სოფელ სამთაწყაროში გადაიყვანეს, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა. პროტესტის ნიშნად მრევლმა სარეკომენდაციო წერილი, რომელსაც ასეულობით ადამიანი აწერდა ხელს, გააგზავნა საპატრიარქოში, საიდანაც პასუხი არ მოსულა, მერე მრევლმა ტაძარი დატოვა და წირვა ცარიელ ტაძარში აღევლინებოდა. ცოტა მოგვიანებით კი მრევლმა საპროტესტო აქცია ეპარქიის რეზიდენციასთანაც გამართა. ეპისკოპოს მელქისედეკ ხაჩიძეს მრევლის თხოვნა არ გაუთვალისწინებია, მამა ნიკოლოზის გადაყვანამ კი ტაძარში მრევლის შემცირება გამოიწვია. მართლმადიდებლების დიდი ნაწილი წირვაზე დასასწრებად და აღსარებისთვის 50-მდე კილომეტრს გადიოდა და მამა ნიკოლოზთან, აზერბაიჯანის მოსაზღვრე სოფელ სამთაწყაროში დადიოდა.

ილია მარტყოფლიშვილი


„ზოგიერთს ჰგონია, რომ ბანკი ხალხს მხოლოდ „ატყავებს“...



გვ.4



„ვეცდები, წარმატებული იყოს ჩემი მუშაობა“...



გვ.3



„სოკარმა“ ორგანიზაციებისთვის გაზის გაძვირება შეაჩერა

გვ.2



ვალენტინობა- სიყვარულის დღე





გვ.7

# საქართველოს მთავრობა შრომის პირობების მონიტორინგს იწყებს

საქართველოს მთავრობამ შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა. პროგრამა შრომის კოდექსის მიხედვით შემუშავდა და უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას ისახავს მიზნად. როგორც მთავრობის დადგენილებაშია განმარტებული, პროგრამის ამოცანას წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტიტუციონალური რეფორმის საჭიროებების განსაზღვრა, ასევე, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია, გამოვლენილ დარღვევებზე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება, ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სტანდარტების შემუშავება-გადასინჯვა.

პროგრამის სამიზნე ჯგუფები არიან დამსაქმებლები, რომლებმაც ამ პროგრამაში ჩართვის შესახებ წერილობითი თანხმობა განაცხადეს და დასაქმებულები, რომლებიც მუშაობენ ამ დამსაქმებლებთან.

მონიტორინგის განხორციელების ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქმიანობის სიდიდეზე, თუმცა ერთ ობიექტზე არა უმეტეს 7 სამუშაო დღით არის განსაზღვრული. დასაბუთებულ შემთხვევებში, აღნიშნული ვადის გახანგრძლივება მხოლოდ ერთხელ, იმავე ვადით არის შესაძლებელი. სამუშაო ჯგუფის მიერ დამსაქმებელს 5 სამუშაო დღით ადრე გაეგზავნება წერილობითი შეტყობინება მონიტორინგის დაწყების თარიღის შესახებ.

მონიტორინგის განხორციელების, რიგითობის და ვადების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში, სამინისტროების წარმომადგენლების გარდა, შევლენ სოციალური პარტნიორების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი ერთი მილიონი ლარით განისაზღვრა და საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, ,,შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების" პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან დაიფარება.

პროგრამის შესრულების ერთ-ერთი ინდიკატორი, საჭიროების შემთხვევაში,

საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაა. აღნიშნული პროგრამა შრომის ინსპექციის შექმნის წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც 2006 წელს გაუქმდა და მისი აღდგენა ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით არის გათვალისწინებული.

# დავით უსუფაშვილი – პარლამენტი აქტიურად ჩაერთვება სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროცესში

ეროვნულ ბიბლიოთეკაში საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა პროექტის "სამოქალაქო და სამართლებრივი განათლების ხელშეწყობის" პრეზენტაცია გამართა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი დაესწრო.

როგორც დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, "დღეს ძალიან საჭირო საქმე იწყება".

მისი თქმით, იწყება პროექტი, რომელიც ჩვენს სკოლებში სამოქალაქო განათლების შეტანას და ზოგადად სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

"ძალიან კარგია, რომ განათლების სამინისტრო არის ამ საქმის ინიციატორი. ძალიან კარგია, რომ ისეთი კვალიფიციური ორანიზაცია, როგორიც არის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", იქნება ამ პროექტის განმახორციელებელი. საია უკვე ორი ათეული წელია ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს. იყო დრო, როდესაც მეც პირადად ვიყავი ჩართული ამ საკითხებში და მომავალშიც დიდი სიამოვნებით ჩავერთვები, იმიტომ რომ ჩვენ პრაქტიკულად ვსაუბრობთ ჩვენი სახელმწიფოს უმთავრესი კომპონენტის - მოქალაქეთა ერთობის ჩამოყალიბებაზე", - განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ეს პროექტი ითვალისწინებს პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ შეირაღებას ახალი მეთოდით, ახალი ტექნოლოგიებით, როგორ უნდა იმუშავონ ბავშვებთან, რომ ისინი იყვნენ თავისუფალი, პასუხისმგებლიანი და სამშობლოს სიყვარული.

"მე შევთავაზე პროექტის ავტორებს და მონაწილე პედაგოგებს, რომ პარლამენტი აქტიურად ჩაერთვება ამ პროცესში. მე მათ მივეცი სიტყვა, რომ პარლამენტის წევრები, ვისაც ისინი მოისურვებენ, მზად იქნებიან ესტუმრონ კონკრეტულ სკოლებს, კონკრეუტლ კლასებს, სადაც ისინი გაკვეთლებს ჩაატარებენ სამოქალაქო განათლების თემებზე", - განაცხადა უსუფაშვილმა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ეს მხოლოდ პედაგოგების საქმე არ არის, ეს ყველას საქმეა, მათ შორის პარლამენტარებთან.

# ეკონომიკის სამინისტრო - ექსპორტის კლება, უმთავრესად, რუსეთსა და უკრაინაში შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, ექსპორტის კლება, უმთავრესად, რუსეთსა და უკრაინაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია.

როგორც ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის 2015 წლის იანვრის თვის ექსპორტის წინასწარი მაჩვენებლები განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საგარეო ფაქტორით.

"შემოსავლების სამსახურის დეკლარაციების მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ექსპორტის გარკვეულ სეგმენტში კლება უმთავრესად გამოიწვია მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ რუსეთსა და უკრაინაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ. ეს გახდა იმის სერიოზული ფაქტორი, რომ ამ ორი ქვეყნის ბაზარზე იანვრის თვეში საქართველოდან ღვინის, სპირტიანი სასმელების, მინერალურის წყლებისა და ციტრუსის ექსპორტი მკვეთრად შემცირდა. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზოგადად ექსპორტი ევროკავშირში 21%-ით და 8.5 მილიონი დოლარით გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა ისეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციებზე, როგორებიცაა: თხილი და კაკალი — (გაიზარდა 100% და $9.4 მილიონით). ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, სადაც გაიზარდა $6 მლნ-ით, გერმანიაში $4.4 მლნ-ით და ესპანეთში $1.1 მლნ-ით. ასევე, ევროკავშირის ქვეყნების ხარჯზე გაიზარდა ხილისა და ბოსტნეულის წვენები - ზრდამ 54% შეადგინა. ასევე, ზრდა ფიქსირდება მწვანილის ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში და უკრაინაში - აღნიშნული პროდუქციის ზრდამ საერთო ჯამში შეადგინა 60% თანაბარი ზრდის წილით. ზრდა დაფიქსირდა ასევე თევზის ექსპორტზე (169%-ით)", - ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაში.

რაც შეეხება ექსპორტის კლებას, უწყების ინფორმაციით, ეს ძირითადად გამოწვეულია ღვინის (65%), სპირტიანი სასმელების (87%), მინერალური წყლებისა და ციტრუსის ექსპორტის კლებით, რის მიზეზსაც, თავის მხრივ, რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე მათი ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება წარმოადგენს.

"2015 წლის იანვარში სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა, მანქანების რეექსპორტის გამოკლებით, 65 მილიონი დოლარი შეადგინა. ექსპორტის კლება, ძირითადად, გამოწვეულია აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირებით. მიუხედავად კლებისა, სამრეწველო პროდუქციიდან ზრდა დაფიქსირდა საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქციებზე, როგორებიცაა: ოქრო (32% ით მეტი), მამაკაცის ტრიკოტაჟის ნაწარმი (9%), წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან (42% და $1.1 მლნ.-ით მეტი) და ნედლი ნავთობი (35% და $1.1 მლნ-ით მეტი). ექსპორტის კლება დაფიქსირდა ფეროშენადნობებზე. მნიშვნელოვნად შემცირდა აზოტოვანი და ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატების ექსპორტი", - ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაში.

# ,,სოკარმა" ორგანიზაციებისთვის გაზის გაძვირება შეაჩერა

კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზმა" კომერციული მომხმარებლებისთვის გაზის საფასურის გაზრდა შეაჩერა. კომპანიის ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ - მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მოწოდების შემდეგ მიიღეს.

„კომპანიამ კომერცუიული მომხმარებლებისთვის გაზის ტარიფის გაზრდის შეჩერების გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის განცხადების შემდეგ მიიღო. შესაბამისად, სანამ ოფიციალურად არ იქნება ტარიფის გაზრდის შეასხებ გადაწყვეტილება, არაფერი მოხდება",- განაცხადა „სოკარ ჯორჯია გაზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლიკა ბახტაძემ.

„სოკარ ჯორჯია გაზი" კომერციული მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ღირებულების 10 თეთრით გაზრდას 2015 წლის 1-ლი მარტიდან გეგმავდა. ახალი ტარიფი პურის ქარხნების გარდა ყველა კატეგორიის კომერციულ მომხმარებელს უნდა შეხებოდა. ამჟამად „სოკარის" ქსელში იურიდიული პირებისთვის ერთი კუბური მეტრი გაზის ღირებულება 80 თეთრია.

# ბუნდესტაგი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციას უმოკლეს დროში მოახდენს

საგარეო საქმეთა მინისტრი, თამარ ბერუჩაშვილი გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტ, ნორბერტ ლამერტს შეხვდა.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროდან იტყობინებიან, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ჩამოყალიბებულ მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობებს.

"ეს ვიზიტი გერმანიის მკაფიო და მყარი მხარდაჭერის დემონსტრირებაა. გერმანიის ბუნდესტაგი კონკრეტული ნაბიჯებისთვის მზად არის, მათ შორის, ასოცირების ხელშეკრულების დროული რატიფიკაციისთვის. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ, გერმანიის ბუნდესტაგში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მხარდაჭერის მიმართულებით გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე. გერმანიის მხრიდან არის მზაობა, გააქტიუროს პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის ყველა ინსტრუმენტები", - აღნიშნა თამარ ბერუჩაშვილმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გერმანელ პარლამენტარებს ოკუპირებული ტერიტორიების ირგვლივ შექმნილი ვითარების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და გააცნო საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხები, ასევე, ქართული მხარის ხედვა რეგიონული უსაფრთხოების პრობლემატიკასთან მიმართებით. როგორც თამარ ბერუჩაშვილმა აღნიშნა, საერთაშორისო თანამეგობრობისა და, კერძოდ, გერმანიის მხარდაჭერის მნიშვნელობა იმ ფონზე, როდესაც საქართველოს და მთლიანად ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს უსაფრთხოება და სტაბილურობა კვლავინდებურად სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას.

ნორბერტ ლამერტმა, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ დაადასტურა გერმანიის როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მზაობა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. მან აღნიშნა, რომ ბუნდესტაგი, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, დაასრულებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციას. ამის გარდა, შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო გერმანიის პარლამენტის მიერ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღების საკითხს. ბუნდესტაგის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმები საქართველოში სწორი დინამიკით ხორციელდება და პროცესი არ უნდა შენელდეს.

# მინსკში ხელი მოეწერა უკრაინის სამშვიდობო შეთანხმებას

უკრაინის, რუსეთის, გერმანიის და საფრანგეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს საგზაო რუკას, რომელიც უკრაინაში მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს. შეთანხმების მიღწევას წინ უძღოდა ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკებები. უკრაინის პრეზიდენტი, პეტრო პოროშენკო და რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი აცხადებენ, რომ შეთანხმება ითვალისწინებს ზავის 15 თებერვალს ამოქმედებას, მძიმე შეიარაღების გატანას და უსაფრთხოების ზონის დაარსებას. როგორც იუწყებიან, შეთანხმებას ასევე ხელი მოაწერეს უკრაინის ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონებში მოქმედი, პრორუსულად განწყობილი სეპარატისტების თვითგამოცხადებულმა ლიდერებმა. პოროშენკოს თქმით, დოკუმენტი სეპარატისტების მიერ კონტროლირებულ რეგიონებს არ ანიჭებს ავტონომიას და უკრაინის მიერ 2015 წლის ბოლომდე თავის საზღვრებზე კონტროლის აღდგენას ითვალისწინებს. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს უკრაინის ტერიტორიიდან ყველა უცხოელი სამხედროს გაყვანას. პოროშენკოს თქმით, შეთანხმებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ტყვეობაში მყოფი ყველა მძევლის გათავისუფლება სამი კვირის ვადაში. ამასთან, უკრაინის პრეზიდენტის თანახმად, შედგა შეთანხმება რუსეთის ციხიდან უკრაინელი პილოტის, ნადია სავჩენკოს გათავისუფლების თაობაზე. საფრანგეთის პრეზიდენტმა, ფრანსუა ოლანდმა, რომელმაც გერმანიის კანცლერთან, ანგელა მერკელთან ერთად მიიღო მონაწილეობა მოლაპარაკებაში პოროშენკოსთან და პუტინთან, რუსეთის ლიდერს მადლობა გადაუხადა მეამბოხეთა ლიდერებზე „ზეწოლის" მოხდენისთვის. აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ბრძოლას აპრილის შემდეგ ემსხვერპლა 5,350-ზე მეტი ადამიანი, ასი ათასობით პირი იძულებული გახდა საცხოვრებელი დაეტოვებინა.

# კახეთი - სუფთა რეგიონი



„კახეთი სუფთა რეგიონი" - ამ დევიზით კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში დასუფთავების მასშტაბური აქცია გაიმართა. აქციის ფარგლებში ყველა სოფელსა და ქალაქში დასუთავდა ცენტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, სკვერები, სკოლის მიმდებარე ტერიტორიები და ქალაქის ქუჩები.

აქციაში მონაწილეობა საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებმა, კერძო კომპანიებმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა მიიღეს. ინიციატივა კახეთის გუბერნატორს ეკუთვნის. ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით დასუფთავების აქცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და ის სამოქალაქო თვითშეგნების გაზრდას ემსახურება.

დედოფლისწყაროში დასუფთავების პროცესს გუბერნატორის მოადგილე ზურაბ არსენიშვილი თანამშრომლებთან ერთად შეუერთდა. აქციაში დედოფლისწყაროს ხელმძღვანელი პირებიც აქტიურად ჩაერთვნენ. ქუჩები და სკვერები დაასუფთავეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ტერიტორიულ ერთეულში.

**ირაკლი შიოლაშვილი** (კახეთის გუბერნატორი): „გუბერნიის მხრიდან არა მხოლოდ დასუფთავების, არამედ სხვადასხვა სახის აქტივობები ხშირად იგეგმება და ხორციელდება. მსგავსი მასშტაბის აქცია კახეთის რეგიონში, ისევე როგორც მთელს საქართველოში არ ჩატარებულა. ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა ცხრავე მუნიციპალიტეტი გამოდის, საჯარო თუ კერძო სექტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებები, ჯარი, პოლიცია, ყველა ჩაერთო და ყველა უწყებამ მიიღო მონაწილეობა. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი მაგალითია ერთობის, საზოგადოების ჩართულობის, თვითშეგნების ამაღლების. მსგავსი აქციები გაგრძელდება და ვთვლი, რომ ყველა მოქალაქისთვის და სხვა რეგიონებისთვისაც გადამდები იქნება და მიმაჩნია, რომ ხშირად უნდა ტარდებოდეს."

# „ვეცდები, წარმატებული იყოს ჩემი მუშაობა"...

განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ვაკანსიაზე პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ეთერ ზურიკაშვილმა გაიმარჯვა. შესაბამისი ბრძანებით ის უკვე შეუდგა ამ თანამდებობაზე მუშაობას.

რესურსცენტრის უფროსის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც მიხეილ ბახუტაშვილმა თანამდებობა დატოვა. ბახუტაშვილმა მიმდინარე წლის ივლისში, თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შედეგად დედოფლისწყაროს საკრებულოს დეპუტატის მანდატი მოიპოვა. მოგვიანებით კი საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

შეგახსენებთ, რესურსცენტრის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი მიმდინარე წლის სექტემბერში უშედეგოდ დასრულდა, რის გამოც კონკურსი ხელახლა გამოცხადდა. ამჯერად კონკურსში 15 პრეტენდენტი მონაწილეობდა.

ეთერ ზურიკაშვილი: „გამოცხადდა ვაკანსია, დავრეგისტრირდი და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ამ ადგილის დასაკავებლად 15 კონკურსანტი იბრძოდა, თუმცა დანარჩენი კანდიდატების ვინაობა არ ჩანდა. მონაცემები კონფიდენციალური იყო. მეორე ეტაპზე ტესტირება გავიარეთ, საკმაოდ მაღალი ქულები მოვაგროვე, ხოლო მესამე ეტაპზე უკვე გასაუბრება ჩამიტარდა. როგორც ჩანს გასაუბრებაც წარმატებით გადავლახე და იანვრის ბოლოს უკვე დავინიშნე რესურსცენტრის უფროსად.

**- ქალბატონო ეთერ, რა გეგმებით მოდიხართ ამ თანამდებობაზე?**

- რაც ჩემს მოვალეობებში შედის, ვეცდები წარმატებული იყოს ჩემი მუშაობა. ძალებს არ დავზოგავ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა შევძლო. თანამდებობის შენარჩუნებას კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული, თუმცა სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდი მაქვს.

ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე 15 საჯარო და 2 კერძო სკოლა შედის. აქტიურად გაგრძელდება ყველა სკოლის მონიტორინგი, ჟურნალების წარმოების, თუ სხვადასხვა დეტალები. უკვე მქონდა გაცნობითი ხასიათის სამუშაო შეხვედრა პედაგოგებთან და სკოლის დირექტორებთან. ჯერ ვერ მოვახერხე ყველა სკოლის ადგილზე მონახულება. თუმცა, ჩემი პირველი ამოცანაა, ყველა სკოლაში შევიდე, მოვინახულო მათი მდგომარეობა და პედაგოგების შენიშვნები მოვისმინო. დირექტორებისგან მაქვს ინფორმაცია, თუმცა, უმჯობესია საკუთარი თვალით ვნახო და სოფლებიც მოვიარო. მომავალი კვირიდან უკვე ვგეგმავ სოფლებს ვეწვიო. მათ თხოვნებს გავიზიარებ და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში დავეხმარები. მთავარი პირობაა, რომ ყველა სკოლაში იყოს მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემო შექმნილი.

ძალიან მინდა, რომ მშობლები უფრო მეტად ჩაერთვნენ სასკოლო ცხოვრებაში. აუცილებელია მათი გააქტიურება, რადგან, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მშობელი აქტიურია, უფრო მეტად მოტივირებული, პასუხისმგებლობას გრძნობს და პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს სკოლის მიმართ. თუ მშობელი აქტიურად თანამშრომლობს სკოლასთან, ასეთ დროს მოსწავლის დისციპლინაც სანიმუშო ხდება. ვერ ვიტყვი, რომ მშობლები არ არიან ჩართულნი, თუმცა, ჩემი სურვილია, მშობლები უფრო მეტად ჩაერთვნენ, ეს კი ვითარებას ბევრად გააუმჯობესებს..

**- რა ვითარებაა დედოფლისწყაროს სკოლებში, ხომ არ არის რომელიმე შენობა სავალალო მდგომარეობაში, რაც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს?**

- გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები რომ ესაჭიროებოდეს, ასეთი რთული ვითარება არცერთ შენობას არ აქვს. საბედნიეროდ, სხვა რაიონებთან შედარებით დედოფლისწყაროში სავალალო ვითარება არცერთ სკოლაში არ გვაქვს. თუმცა, ცხადია გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები საჭირო იქნება. ამ ყველაფერს



დეტალურად გავეცნობი და დაწვრილებით საუბარს მოგვიანებით შევძლებ. ამჯერად კი უსაფრთხოების ნორმები დაცულია და ნორმალური გარემოა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

**- პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც გააგრძელებთ, თუ არ გეგმავთ სკოლაში საათების აღებას?**

- ვფიქრობ, რომ გავაგრძელებ... მითუმეტეს, რომ სერტიფიცირებული პედაგოგი ვარ, უკვე 25 წელია, სკოლაში ვმუშაობ და არ მინდა, რომ სკოლას ჩამოვშორდე. თუმცა, ძალიან მცირე დატვირთვა მექნება.

- პედაგოგთა რა პერსპექტივებია პედაგოგთა ხელფასთან დაკავშირებით? ხელფასების მატება გრძელდება. თუ ამჟამად 413 ლარია მაგისტრატი პედაგოგის განაკვეთი, ბაკალავრის - 378 ლარი, მიმდინარე წელს, ვისაც 10 წლის სტაჟი აქვს - 481 ლარი, 2016 წელს კი ეს თანხა 550 ლარამდე ავა და მატება საკმაოდ თვალშისაცემია. საკმარისი შეიძლება არ არის, მაგრამ წინა წლების პედაგოგთა ანაზღაურებას თუ გადავხედავთ, ძალიან მნიშვნელოვანი მატება გამოდის. 2013 წელს იანვარში პედაგოგების განაკვეთი 70 ლარით გაიზარდა, სადამრიგებლო კლასის პედაგოგის - 16 ლარით. ეს, რა თქმა უნდა, დიდი სტიმულია იმისთვის, რომ პედაგოგი უფრო მოტივირებული იყოს.

ილია მარტყოფლიშვილი

# რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ დედოფლისწყაროში აკაკი ნატროშვილი აირჩიეს



რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ აკაკი ნატროშვილი აირჩეს. მანამდე ის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს იკავებდა. ნატროშვილი საკრებულოს წევრი და ფრაქცია „ქართული ოცნება რესპუბლიკელების" თავმჯდომარეცაა. ამას გარდა, აკაკი ნატროშვილი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრია.

რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ადგილი ვაკანტური მას შემდეგ იყო, რაც 2014 წლის 10 მაისს ორგანიზაციის თავმჯდომარე თურმან კოჭლამაზაშვილი ტრაგიკულად გარდაიცვალა. მაისიდან თავმჯდომარის მოვალეობას აკაკი ნატროშვილი ასრულებდა.

თურმან კოჭლამაზაშვილი საღამოს საათებში სოფელ არბოშიკიდან დედოფლისწყაროს მიმართულებით საკუთარი ჰონდას მარკის ავტომობილით მოძრაობდა, რა დროსაც ნაწვიმარ გზაზე მოცურდა და ე.წ. გედიქის ხევში გადავარდა, შემდეგ კი ხეს შეეჯახა.

ილია მარტყოფლიშვილი

# „ზოგიერთს ჰგონია, რომ ბანკი ხალხს მხოლოდ „ატყავებს“...

*ახლა, როცა ლარი ასე გაუფასურდა დოლართან მიმართებაში, როცა მისმა მსყიდველობითუნარიანობამ დაიწია, როცა აუცილებელ პროდუქტებზე და წამლებზე ფასებმა აიწია, როცა ისედაც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უამრავი თავსატეხი და საზრუნავი აქვს, ბანკზე და მის სიკეთეებზე საუბარი იქნებ მთლად მომგებიანი არც არის, მაგრამ, მაინც შევეცდები, დაგანახოთ, რომ ბანკი ხალხს მხოლოდ არ „ატყავებს“, ის ბევრისთვის წარმატების საწყისი საფეხური, ოცნების ასრულების ერთ-ერთი გარანტიაა. ამ და კიდევ ბევრ სხვა საკითხზე სასუბროდ ჩვენ საქართველოს ბანკის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერს* ალექსანდრე გოგაშვილს *ვეწვიეთ. ალიკა, როგორც მას ყველა მიმართავს, დღეს იუბილარია. დღეს კი, როცა ამ წერილს ვწერ, 11 თებერვალია. ის 43 წლის გახდა. და ვიდრე ბანკზე საუბარს დავიწყებთ, მოდით, გავიცნოთ იგი: – დაიბადა 1972 წლის 11 თებერვალს სოფელ არბოშიკში. გაუმართლა მის მშობლებს: შუქო გოგაშვილს და ნანა დათუკიშვილს, ვაჟი შეეძინათ და... ქიზიყში ყველამ იცის, რას ნიშნავს პირველი შვილი და ისიც მემკვიდრე. ფუძის შვილს პაპის სახელი დაარქვეს-ალექსანდრე. თუმცა, სოფელში პაპას ყველა „დოლდიას“ ეძახდა. მეკამეჩეობის ბრიგადას ედგა სათავეში და ამ გამორჩეულ დარგს ღირსეულად უძღვებოდა. პირველ შვილიშვილს თავზე დაჰფოფინებდა მაყვალა ბებია, ალერსს და მზრუნველობას არ იშურებდნენ მამიდები – მანანა და მერი.*



*კარგი ოჯახის შვილი იყო ალიკა. მამამისი შუქო კარგი მეღვინე გახლდათ, დარბაისელი, აზრიანი, ყველას მრჩეველი და ხელის გამმართველი. დახვეწილი სიტყვა-პასუხი ჰქონდა, ზედმეტს არ დაილაპარაკებდა. დედა–ნანა, კოლმეურნეობის ბუღალტერი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ დღის დიდი ნაწილი შრომას მიჰქონდა, მაინც გამორჩეულად სტუმრიანი ოჯახი ჰქონდათ. კარგი და თადარიგიანი დიასახლისი ყველაფერს ღირსეულად უძღვებოდა. მოგვიანებით ქალიშვილი-შორენაც შეძინათ, რომელიც ახლა თავის ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობს, პედაგოგია და 64-ე სკოლაში ბიოლოგიას ასწავლის.*

**- ალიკა, როგორც ამბობენ, არბოშიკის სკოლაში გამორჩეულად კარგი მოსწავლე იყავით. კარგად სწავლობდით, სერიოზული და თავდაჭერილი, სიტყვაძუნწიც იყავით, მაგრამ თქვენს სიტყვას წონა ჰქონდა მეგობრებში. ძალიან უყვარდით მასწავლებლებს. მოდი, გაიხსენეთ ბავშვობა.**

- ბავშვობა განუმეორებელი მქონდა. საერთოდ, ძალიან ძლიერი კლასი გვყავდა, უმრავლესობა კარგად ვსწავლობდით და საზოგადოებრივ საქმიანობაში და სპორტშიც გამოვირჩეოდით. ჩემთვის დაუვიწყარია, როცა მე-8 კლასში სამხედრო თამაშებში „ცისკარი“ ჩვენმა კლასმა პირველი ადგილი მოიპოვა როგორც რაიონში, ისე რეგიონში და ექსკურსიით დაგვაჯილდოვეს. საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქები მოვინახულეთ: მოსკოვი, ბრიანსკი, სტალინგრადი, გამორჩეულად დამამახსოვრდა პატარა ქალაქი არიოლი, რომელშიც ხელუხლებლად იყო შემორჩენილი ომის ქარცეცხლიანი ნაკვალევი, მისი ტყე-პარკი დღესაც თვალწინ მიდგას და, მიუხედავად იმისა, მის მერე ბევრი რამ ვნახე და ბევრი ქვეყნის ნახვის სურვილიც მაქვს, იქ მაინც დავბრუნდებოდი..

**- თქვენი სასკოლო ბიოგრაფია დახუნძლულია მრავალი სიგელითა და დიპლომით, არაერთი ოლიმპიადის გამარჯვებული იყავით, მაინც, რომელი საგნები უფრო გიყვარდათ?**

- თუ წარჩინებული მოსწავლე იყავი, ყველა საგანი კარგად უნდა გესწავლა და ვსწავლობდი კიდეც, მაგრამ ფიზიკა-მათემატიკა სხვა ფენომენი და ინტერესთა სხვა სფერო იყო ჩემთვის.

**- ალბათ, ეს იყო სწორედ საწყისი თქვენი სპეციალობის არჩევისას.**

- დიახ, 1989 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, ჩავირიცხე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. დავამთავრე 1995 წელს და დავბრუნდი დედოფლისწყაროში. მუშაობა დავიწყე საგადასახადო ინსპექციაში ინსპექტორად. მერე დაიწყო ამ სამსახურის რეორგანიზაცია და მე საბანკო სექტორში გადავინაცვლე. 8 წელი ვიყავი „პირველი კომერციული ბანკის“ მმართველი, რომელიც მერე ტაოპრივატ ბანკად ჩამოყალიბდა. 2012 წლის მარტიდან ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ბანკის დედოფლისწყაროს სერვისცენტრმა, რომლის მენეჯერადაც მე დავინიშნე.

**- მესამე წელი სრულდება, რაც თქვენი სერვისცენტრი ფუნქციონირებს. თქვენი საქმიანობის და შიდასამზარეულოს შესახებ მოგვიყვებით?**

- საბანკო სივრცეში, ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს ბანკი ლიდერის პოზიციას არ თმობს. ჩვენი სერვისცენტრი კი რაიონში ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ წარმატებული. სესხებიდან ყველაზე დიდი ნაწილი აგროსესხებზე მოდის, რომლის საპროცენტო განაკვეთი 3-დან 7 პროცენტამდეა.მასზე სახელმწიფო სუბსიდია ვრცელდება, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს და ეს ძალიან დიდი შერავათია ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. გვაქვს ბიზნესსესხებიც, რომლის პროცენტიც იანგარიშება ბიზნესის სახეობის, თანხის მოცულობის და სესხის ხანგრძლივობის მიხედვით. საერთოდ, 10-დან 15%-მდე მერყეობს. შედარებით დაბალი პროცენტი აქვს სახელფასო სესხს და ის 9%-ია. სესხებთან ერთად ვმუშაობთ ანაბრებზე, რომელიც სხვადასხვა სახისაა. ერთწლიანი ანაბრის სარგებელი 9%-ია. ერთ წელზე ზევით შესაბამისად იმატებს. ანაბრებიდან ჩემს სიმპათიას, როგორც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქისა და პროფესიონალისა, იწვევს საბავშო ანაბარი. ყველა ახლობელს ვურჩევ ხოლმე, თანდათანობით დაუგროვონ შვილებს თუ შვილიშვილებს გარკვეული თანხა და უზრუნველყონ ბავშვის მომავალი. მინიმალური თანხა ანაბრის გასახნელად 10 ლარი ან 10 დოლარია. ზედა ზღვარი შეუზღუდავია. მოქალაქეს ფულის დამატება შეუძლია ნებიმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით. ანაბრის ვადა ბავშვის სრულწლოვანებამდე: მინიმუმ 2 წელი, მაქსიმუმ 18 წელია. წლიური საპროცენტო სარგებელი ლარებში 9,25%-ია, დოლარში – 5.25%, ხოლო ევროში – 4.25%.

**- როგორ ფიქრობთ, რომელი ვალუტა სჯობია ბანკთან ურთიერთობისთვის?**



- მე ყოველთვის მომხმარებელს ეროვნულ ვალუტას ვურჩევ. ლარი თავის დაზღვევის უფრო საიმედო საშუალებაა ჩვენი ქვეყნის არასტაბილური მდგომარეობიდან გამომდინარე. ასეთი სიტუაციაა თუნდაც დღეს, როცა ლარი დოლართან მიმართებაში ძალიან გაუფასურდა. მისთვის, ვისაც დოლარში აქვს სესხი, მძიმე დარტყმაა, შედარებით დაცულია ლარში აღებული სესხები. ეროვნულმა ბანკმა უკვე დაიწყო დამატებით დოლარის ქსელში გაშვება, რაც ნაწილობრივ დაასტაბილურებს პროცესს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაატაროს ინვესტიციების მოზიდვის თუ სხვა სახის ღონისძიებები, რათა ეროვნული ბანკი მარტო არ დარჩეს ამ პროცესებში, რაც ნაკლებწარმატებული იქნება. იმედს გამოვთქვამ, რომ რამდემინე თვეში ლარი საკმაოდ გამყარდება.

**- ალიკა, რამდენი ადამიანია თქვენთან დასაქმებული და როგორია თქვენი მუშაობის დღის რეჟიმი?**

- ჩვენთან 18 მუშაკია დასაქმებული. ახალგაზრდული კოლექტივია. კმაყოფილი ვარ მათი კვალიფიკაციით. ჩვენ გამოვირჩევით სერვისმომსახურებით და ვცდილობთ, თითოეულ კლიენტს თავი კომფორტულად, დაცულად და შინაურულად ვაგრძნობინოთ. ტექნიკური აღჭურვილობით თუ სამუშაო პირობებით უზრუნველყოფილნი ვართ და ვცდილობთ, მთელი ჩვენი ენერგია საქმეს მოვახმაროთ. ვმუშაობთ მთელი კვირა 10-დან 6 საათამდე, შაბათს – 2 საათამდე. შესვენება მცოცავია და, ფაქტიურად, კლიენტს ხელი არ ემლება, მთელი დღის ნებისმიერ დროს შეუძლია ისარგებლოს ჩვენი მომსახურებით. რაც შეეხება ხელფასს, გვაქვს თანამდებობრივი სარგოები და ბონუს სისტემაც მუშაობს. ამიტომ, ვცდილობთ, ისე ვიმუშაოთ, რომ ბონუსმომსახურებაზე გავიდეთ. მაღალი შედეგების მისაღწევად კი საჭიროა მომხმარებელთან მუშაობა. ეს არცთუ იოლია, რადგან ადამიანების დიდ ნაწილს გაუაზრებლად და გაუანალიზებლად სწამს, რომ ბანკი მაინცდამაინც ხალხს „ატყავებს“, თუმცა, ეს სრულებითაც არ არის ასე. ბანკის დახმარებით ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ დადებით შედეგებს. თუ თქვენს მიერ წამოწყებულმა საქმემ 50% მოგება მოგცათ, ეს ცოტაა!? თუმცა, ვერ გამოვრიცხავთ რისკის ფაქტორსაც, რადგან საქმე ყოველთვის წარმატებულად არ გამოსდის ყველას. ამიტომ, საჭიროა კარგად გათვალოთ და გაიაზროთ, რაში დებთ ფულს. ბევრმა წარმატებულმა ბიზნესმენმა თუ ფერმერმა სწორედ ბანკის დახმარებით ააწყო საქმიანობა.

აგროსესხები, მაგალითად, ბევრადაა დამოკიდებული ამინდურ პირობებზე. ვიდრე ჩვენში სარწყავი სისტემა არ გაიმართება და სრულყოფილად არ მოიცავს მთელ ფართობს, რისკი მაღალია. სწორედ ამ რისკისგან მიღებული ზარალის შემცირებას ემსახურება ის სახელმწიფო სუბსიდია, რომელიც ამ სესხს თან ახლავს.

**- ალიკა, რამდენადაც ვიცი, საქართველოს ბანკმა ტაობანკი შეისყიდა?**

- დიახ, დეკემბრის თვეში გაფორმდა ეს დოკუმენტი, მაგრამ ჯერ დამუშავების პროცესშია იმ კონკრეტული ღონისძიებების პაკეტი, რომელიც განსაზღვრავს, რა ფორმით მოხდება შერწყმა. ჩვენ მოლოდინის რეჟიმში ვართ.

**- მოდით, ახლა თქვენს ოჯახზე ვისაუბროთ , როდის მოიყვანეთ ცოლი, ვინ არის იგი, რამდენი შვილი გყავთ და, საერთოდ, რას აპირებთ სამომავლოდ?**

-2004 წელს ვიქორწინე ხათუნა მელიქიშვილზე. ის სოფელ წითელწყაროდანაა. ჩვენ სამსახურებრივად გვქონდა ურთიერთობა და ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. სპეციალობით ისიც ეკონომისტია და ამჟამად არბოშიკის საჯარო სკოლაში ბუღალტრად მუშაობს. ჯერჯერობით გვყავს სამი ვაჟი, ნიკოლოზი მე-4 კლასშია, გიორგი მე-2-ში, ლუკა კი მხოლოდ 5 თვისაა. ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ გოგოც ძალიან მინდა, რომ გვყავდეს. მომავალი გვიჩვენებს.

**სულ ორი-სამი დღის წინ თქვენ იუბილარი იყავით, 43 წლის გახდით. ამ ასაკისათვის თქვენი წარმატებები ხელშესახებია. ყველა მოქალაქეობრივი ვალი სრულყოფილად გაქვთ შესრულებული, კვლავაც გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. ყველა კარგი ფიქრი და ოცნება აგისრულოთ ღმერთმა.**




ნაირა გორაშვილი

# ქალის როლი თანამედროვე რეალობაში

მალე გაზაფხული მოვა და მარტის თვეში ქალებზე ფიქრი აქტიურობს ჩვენს გონებაში: შვილებზე, დედებზე, დებზე, მეგობრებსა და ა. შ. ვფიქრობთ, როგორ გავულამაზოთ ერთმანეთს გაზაფხულის ეს ლამაზი თვეებიმარტი, აპრილი, და საერთოდ, როგორ გავხადოთ ერთმანეთის ცხოვრება უფრო შინაარსიანი, ხალისიანი და მარტივი...ფიქრს უსასრულობამდე მივყავართ და აქედან ყოველთვის მარტივ გამოსავალს ვპოულობთ, ისევ საჩუქრებს ვჩუქნით ერთმანეთს, შემდეგ კი ცხოვრება ისევ თავისი გზით გრძელდება...



დღეს ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ქალზე, როგორც საზოგადოების აქტიურ წევრზე და როგორც ოჯახის მარჩენალზე. ამჟამად საქართველოში ოჯახის მარჩენალთა 30% ქალია. თითოეული ოჯახი კი არის სახელმწიფოს საყრდენი, ასახავს საზოგადოების ცხოვრების ხასიათს და წარმოადგენს ქვეყნის კეთილდღეობისა და სტაბილურობის სოციალურ ინდიკატორს. დღეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა მთლიანად მოწოდებულია ოჯახის სიმყარესა და მისი პრიორიტეტის ამაღლებაზე. გასულ საუკუნეებს ჩაბარდა და მალე მთლიანად ისტორიის კუთვნილებად იქცევა ოჯახში გაბატონებულ ურთიერთობათა ფორმები, ხოლო დღეს მოქმედი ქორწინების კოდექსი ოჯახის შესახებ ითვალისწინებს ქალისა და მამაკაცის სრულ თანასწორობას...თუ გავითვალისწინებთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ოჯახის მარჩენალთა 30% ქალია, ხოლო დანარჩენი 70% ქალებისა საოჯახო საქმიანობით არიან დაკავებულნი, ყველასათვის კიდევ ერთხელ ნათელი გახდება, რა როლი აკისრია ქალს სახელმწიფოში! ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ელემენტარულად, ოჯახში ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის სრულყოფილ აღზრდას დედის გარეშე. ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ და ჩვენთან უმაღლეს განათლებასაც უფრო მეტი ქალი იღებს, ვიდრე მამაკაცი, თუმცა, შრომის ბაზარზე ისინი დაახლოებით 15%-ით ჩამორჩებიან ქართველ მამაკაცებს და შესაბამისად, განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ვერ ხმარდება ვერც ქვეყნის განვითარებას და ვერც მათი ოჯახების ეკონომიკურ წინსვლას, მაშინ როდესაც საერთაშორისო კვლევები ადასტურებენ, რომ უფრო მომგებიანია ის კომპანიები და სხვადასხვა დაწესებულებათა მუშაობის ხარისხიც უფრო მაღალია იქ, სადაც მეტი ქალბატონი მუშაობს, უფრო სტაბილურია ის ქვეყნები, სადაც მეტია ქალის როლი მმართველობაში...

ჩვენს რაიონში და მის ფარგლებს გარეთ შევხვდით და გავესაუბრეთ დიასახლისებს, სხვადასხვა პროფესიის და მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ქალბატონებს, გვაინტერებდა მათი აზრი, არიან თუ არა კმაყოფილნი ქვეყანაში არსებული თანასწორობის ბალანსით, იქნებ სულაც სახლში ყოფნა, მაღალშემოსავლიანი მეუღლე და საოჯახო საქმეების კეთება ურჩევნიათ, ან პირიქით, ძალიან კმაყოფილნი არიან თავიანთი მდგომარეობით და უპირატესობას საზოგადოებაში აქტიურ ჩაბმას ამჯობინებენ...

**მარი, 47 წლის:** მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩემი სოციალური სტატუსის წყალობით ბევრის მიღწევა შემიძლია, ვარ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, წელიწადში რამოდენიმეჯერ ვმოგზაურობ საზღვარგარეთ, მაინც უპირატესობას ოჯახს ვანიჭებ, რომელიც არასოდეს მყოლია... შეიძლება, ვცდები, არ ვიცი, მაგრამ ამ გადმოსახედიდან მაინც ასე მგონია, რომ ოჯახი არის ის, რისთვისაც დავთმობდი ყველაფერს, რაც გამაჩნია...

**ქეთი, 34 წლის:** ქალისათვის მთავარი პირადი ბედნიერებაა, რომელიც საყვარელი მამაკაცის გარეშე წარმოუდგენელია, ამისთვის კი შეიძლება ბევრი რამის დათმობა მოუწიოს ქალს, თუმცა, მე ვთვლი, რომ ღირს! ვერანაირი სამსახური, ვერანაირი სტაბილური მდგომარეობა ვერ ჩაანაცვლებს ქალში პირად ცხოვრებას, რომელიც გვაძლევს ზუსტად იმ ენერგიას, რაც ასე გვჭირდება და რაც არის ჩვენთვის წარმატებების მიღწევის საწინდარი...

**თეონა, 24 წლის:** მე ვფიქრობ, თითოეული ჩვენთაგანი ვართ პასუხისმგებელი, როგორც ჩვენს პირადზე, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაზე. არავის შეუძლია, ჩაერიოს და ცვლილებები შეიტანოს შენს ცხოვრებაში შენს გარეშე. მე დღეს მაქვს ზუსტად ის, რაც მინდა რომ მქონდეს... თუ გადავწყვეტ, რომ ცვლილებებია საჭირო, შევცვლი...იდეალურ ვარიანტად ვთვლი ქალისთვის ოჯახისა და სამსახურის შერწყმას ისე, რომ ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს...



**ნინო, 70 წლის:** პროფესიით თერაპევტი ვარ, მაგრამ მთელი ცხოვრება ოჯახს შევწირე, სამი შვილი გავზარდე და არავის ვაყვედრი ჩემს ამაგს, ისინი დღეს საუკეთესოები და სამაგალითონი არიან, მაგრამ , არ ვთვლი, რომ ამისათვის ჩემი დიასახლისობა და საყვარელ პროფესიაზე უარის თქმა აუცილებელი იყო, ჩემთვის გვიანია რაიმეს შეცვლა, მაგრამ ყველა ქალს მოვუწოდებ, არასოდეს თქვან უარი საკუთარ საქმეზე...

ძვირფასო მკითხველო, ეს მცირედი ჩამონათვალია იმ რესპოდენტთაგან, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თუ ცოტა ხნის წინ ქართული საზოგადოებისთვის ქართველი ქალი და მისი საქმიანობა მხოლოდ ქართულ ტრადიციებს და ეროვნულ იდენტობას უკავშირდებოდა, ხოლო ქალთა უმრავლესობის წარმოდგენები ძირითადად სტერეოტიპულ, პატრიარქალურ ღირებულებებს ეფუძნებოდა, თანამედროვე რეალობაში ბევრმა მათგანმა თავის თავზე აიღო კაცის ფუნქცია და ოჯახის მარჩენალი გახდა, თუმცა, თითოეული მათგანის მახასიათებლებში მაინც სჭარბობს ეპითეტები:თავმდაბალი, მორჩილი, კდემამოსილი...ამ არჩევანს ქალთა უმრავლესობა თვითონ აკეთებს და ასე ამჯობინებს, მათთვის უბრალოდ საყვარელი ადამიანისგან მიღებული სითბოც საკმარისია...

ისინი საყვარელი ადამიანის გარეშე ცხოვრებას არაფერზე გაცვლიან...

ელზა ხარაშვილი

# იორზე ცხოვრება და სკოლაში სიარულის ოცნება

დარეჯან ქერსამაული 65 წლისაა. ოთხი შვილის დედას პრობლემები მრავლად აქვს. ჩვენთან საუბარსაც ამ თემით იწყებს:

—„4 შვილის, 4 ვაჟის დედა ვარ, მთელი ჩემი ცხოვრება შრომაში და ჯაფაში მაქვს გატარებული, მუშაობა და გარჯა არასოდეს გვეზარებოდა მე და ჩემს მეუღლეს.. ვშრომობდით, რადგან ვფიქრობდით, ოთხ შვილს დავაბინავებთ და მერე უდარდელად ვიცხოვრებთო, მაგრამ... დრო რომ აირია და ანაბრების თანხაც დაიკარგა, ჩვენი უბედურებაც იქედან დაიწყო. მას მერე წვალებით და ვაებით მოვდივარ, ამჟამად ოთხივე შვილი დაოჯახებული მყავს, შვილიშვილებიც თავს მახვევია, ერთი ჩემს ბინაში დავასახლე, მეორე სოფელში, ოღონდ სხვა ბინაში, მესამე სხვა რაიონში დაქორწინდა და იქ დაიდო ბინა, მეოთხე შვილი თავისი ოჯახობით- ორი გოგოთი და ერთი ბიჭით, უბინაოდ მყავს, გაჭირვებისა და უმუშევრობის გამო ადგა და სხვის ფერმაში წავიდა, იფიქრა ცოლშვილს ლუკმას მაინც მოვაწვდიო. ვერა და ვერ დააღწია იმ გაჭირვებას თავი და ვერც მე ვშველი ვერაფერს. ჩემი მეეზოვის ხელფასი რა უნდა იყოს, საჭმელადაც არაა საკმარისი. რით ვუშველო, რით დავეხმარო მის პატარებს, რომლებიც უკვე 10-11 წლისები არიან-სულ ამაზე ვფიქრობ. ყველაზე დიდი სადარდებელი კი ისაა, რომ ბავშვები- რებეკა და მარიამი ანგელოზებივით არიან, გონებაც გახსნილი აქვთ და ყველანაირად საუკეთესონი, მაგრამ მათ სკოლაში მხოლოდ 25 დღე იარეს, დანარჩენი დღეები აღარ უვლიათ. 6 -7 წლისანი რომ გახდნენ, სამრეკლოს სკოლაში თავად მივიყვანე, მაშინ ენამთის ფერმაში მსახურობდა და იმ ფერმიდან მანქანით დაგვყავდა ბავშვები სკოლაში, ძალიან სუფთად ვაცმევდით და დავატარებდით, მაგრამ, ხომ იცით, ეხლანდელი ბავშვები როგორები არიან, არავინ უდგებოდათ ახლოს, თურმე ეძახდნენ, ძროხების სუნი აგდითო და ახლოს არ მოხვიდეთო, ბავშვები ტირილით მოდიოდნენ სახლში, ბოლოს ისეთი გულნატკენები იყვნენ , სკოლაზე ხელი ჩაიქნიეს, მერე იორზე წავიდნენ დედ-მამა და ბავშვებიც თან წაიყვანეს. ჩემს შვილს უჭირს, ერთი ძროხა ფერმის მეპატრონეს მგელმა შეუჭამა და ის ძროხა ამისი ასანაზღაურებელი გახადეს. 2000 ლარი ღირდაო, დავა დაიწყო ფერმის პატრონმა და ძროხის ფული ჩემს შვილს დააკისრა ვალად. სად ჰქონდა ჩემს ბიჭს ფული, ადგა და გამოუქვითა, 2000 ლარი ერთი წლის შრომის საფასურია, გამოდის, რომ ერთი წელი მთლად ვალის გადახდისთვის იმუშავა. ასე გადის წლები და მათი ოცნება, რომელიც სკოლაში სიარულსა და სუფთა, ნათელ სახლში ცხოვრებას უკავშირდება, აუხდენელი რჩება: “როცა ჩემი მეორე შვილის სახლში მოდიან სტუმრად, ბებო მოუკვდეთ, ასე იტყვიან ხოლმე- „ბებო, ნეტა როდის იქნება, რომ ჩვენც სკოლაში ვივლით და აი, ასეთ ნათელ, ფარდებჩამოკიდებულ ფანჯრებიან ოთახში გავილვიძებთო!“-ამას რომ შემომჩივლებს 10 წლის ბავშვი, რა გული უნდა მქონდეს. ორივე გოგო ულამაზესი, წესიერი და დამჯერები არიან, გონებაც ძალიან კარგი აქვთ, ჩემი საწუხარი ის არის, რომ ისინი სკოლას მოწყვეტილები არიან. გოგონები არიან, ბიჭები რომ იყვნენ ჯანდაბას, გოგონები უსწავლელები რატომ უნდა დარჩნენ?! მე ვთხოვ ჩემი რაიონის გამგებელს, საკრებულოს და სრულ ხელმძღვანელობას, გულთან ახლოს მიიტანონ ამ ბავშვების გასაჭირი და იქნებ ქირით დააფინანსონ ჩემი შვილიშვილები, რომ საშუალება მომეცეს და სკოლაში ვატარო ისინი. ბინა რომ გვიქირაოს გამგეობამ სოფელში ან რაიონში, რძალს და შვილიშვილებს იქ ამოვიყვანდი, აქ დავაბინავებდი და ბავშვებს სკოლაში ატარებდა ჩემი რძალი. მე უკან არაფერზე დავიხევდი, ჩემს სამსახურს რძალს დავუთმობდი და თავს როგორმე გაიტანდნენ. მე კი, ხელის მუშად ვივლიდი სადმე, რამეს ვიშოვიდი, რომ ლუკმა მომეპოვებინა. გთხოვთ, დამეხმარეთ. ვთხოვ ყველას, რომ გულთან ახლოს მიიტანონ ჩემი გულისტკივილი.“ -ამბობს დარეჯან ქერსამაული.

დამერწმუნებით, საკითხი, რაზეც ქალბატონი დარეჯანი ყვება, მძიმე მოსასმენია, მაგრამ იმ რეალობასაც ვერსად გავექცევით, რომ ეს საკითხი ჩვენს რაიონში ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე ეს ერთი შემთხვევა. ფერმები სავსეა პატარა ბავშვებით, რომლებსაც საშუალო განათლებაზე ხელი ნამდვილად არ მიუწვდებათ. თუმცა ისინი უმეტეს შემთხვევაში სხვა რაიონებიდან ჩამოსახლებული ან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შვილები არიან, რომელთა მშობლებს თავად აქვთ არჩეული ეს გზა და სულაც არაა მათთვის პრიორიტეტული ბავშვების სწავლაგანათლება. ამ შემთხვევაში კი საქმე სხვანაირადაა, ისინი ჩვენი რაიონის მკვიდრნი არიან და ოჯახისთვის ბავშვების სწავლა-განათლება მნიშვნელოვანი საკითხია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა-„ჩვენი რაიონის მინდვრებში სხვადასხვა რაიონებიდან მოდიან ოჯახები და ფერმებში პატარა ბავშვებიანად სახლდებიან, ცხადია, როცა რაიონის ცენტრისგან და სოფლებიდან ასეთი მოშორებით არიან ბავშვები, სწავლა-აღზრდას სწყდებიან, ამიტომ ამ ქალბატონის მიერ დასახელებული პრობლემა ჩემთვის კარგად ნაცნობი თემაა და ის ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ეს კონკრეტული შემთხვევა. ჩვენ ვერ შევპირდებით სხვა რაიონიდან მოსულ, ფერმაში ჩასახლებულ ოჯახებს, რომ ყველას ბინას ვუქირავებთ და თითოეულს მივხედავთ, მაგრამ, თუ ეს კონკრეტული ბავშვები სოფელ სამრეკლოდან არიან და მათმა ოჯახმა სურვილი გამოთქვა და აღნიშნავენ , რომ მათ სწავლა-განათლების პრობლემას ბინის ქირა უდგას წინ, კი ბატონო, შემოიტანონ მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში განცხადება მშობლებმა, შესაბამისი სამსახური შეისწავლის მათ მდგომარეობას და თუ მართლაც ბინის ქირის აუცილებლობაა, უკან არ დავიხევთ, მოვატანინებთ შესაბამის საბუთებს და უზრუნველვყოფთ პატარა გოგონების ქირით ცხოვრებას. მე პირადად ოჯახის თხოვნას და იმ დიდ სურვილს, რომ ბავშვებმა სკოლაში იარონ , ყველანაირად ხელს შევუწყობ“-აღნიშნა ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ჩვენ გამგეობის სოციალური დახმარების სამსახურის უფროსთან ნონა ნატროშვილთან გადავწყვიტეთ ამ საკითხის გარკვევა. ქალბატონი ნონა აღნიშნავს, რომ უპრიანი იქნება, თუ განცხადების შესატანად მასთან თავად ოჯახის წევრები მივლენ, რათა გაადვილდეს მათი მდგომარეობის შესწავლა და საკითხზე მუშაობა.

იმედს ვიტოვებთ და გვჯერა, რომ დარეჯან ქერსამაულის შვილიშვილებს ოცნება აუსრულდებათ და ისინი მალე სკოლაში ივლიან, სადაც მათ საუკეთესო პირობები, კარგი პედაგოგები და მეგობრული გარემო დახვდებათ.

ლალი მეხრიშვილი

# სპორტკომპლექსი ჩვენი ჯანსაღი ცხოვრების სამსახურში

2014 წლის 8 დეკემბერს დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს ცალკე გამოეყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი და საბოლოოდ განახლებულ სპორტკომპლექსში დაიდო ბინა. ამ ორგანიზაციაში გამოცდილმა და ღვაწლმოსილმა სპორტის



მუშაკებმა მოიყარეს თავი, სადაც ისინი პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან. ჩვენი მოქალაქეების დიდმა ნაწილმა, შესაძლოა, არც იცოდეს, რომ ზემოხსენებული ცენტრი ძალიან ბევრ და საინტერესო სპორტის სახეობებში ეწევა ახალგაზრდების და მოზარდი თაობის მომზადებას. ნებისმიერ მსურველს ან მშობელს შეუძლია მიიყვანოს თავისი შვილი ამ ცენტრში, სადაც მას სავსებით კომფორტულ გარემოში შეუძლია მიიღოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი წვრთნა სასურველ სპორტის სახეობაში და გაიკაჟოს სხეული. ამ და სხვა საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ცენტრის დირექტორს დავით გონაშვილს ვესტუმრეთ.

**მინი დოსიე:** დაიბადა 1962 წელს, დაამთავრა ქ. დედოფლისწყაროს №2 საშუალო სკოლა, სკოლის შემდგომი წლები მან კრასნოიარსკში გაატარა, სადაც ის თავისუფალ ჭიდაობას დაეუფლა საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან და მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთან დიმიტრი მინდიაშვილთან. პარალელურად, იმავე ქალაქში დაამთავრა იქ არსებული ფიზკულტურის ინსტიტუტი, 1989 წელს დავით გონაშვილი ტოვებს კრასნოიარსკს და მისი მწვრთნელის, დიმიტრი მინდიაშვილის თხოვნით (რომელიც წარმოშობით საგარეჯოდან იყო), გურჯაანის რაიონში იწყებს მოღვაწეობას. დავით გონაშვილის დამსახურებით ქალაქ გურჯაანში ფეხს იკიდებს თავისუფალი ჭიდაობა, იგი აყალიბებს გუნდს, რომელმაც ამ სახეობაში გაითქვა სახელი, მან გამოზარდა რევაზ მინდორაშვილი, რომელიც 9-გზის საქართველოს ჩემპიონია და ამავდროულად წარმატებები მოუტანა ქვეყანას ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. 1994 წლიდან დავით გონაშვილი მშობლიურ რაიონს უბრუნდება და იგივე საქმიანობას განაგრძობს, ქმნის სპორტულ ბაზას, სადაც წლებია, ჩვენი რაიონის საუკეთესო ფალავნები გადიან მომზადებას და საკმაოდ წარმატებულადაც. 2014 წლის დეკემბერში დავით გონაშვილი ინიშნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორად.



**-ბატონო დავით, რა სპორტული წვრთნები მიმდინარეობს ამჟამად სპორტკომპლექსში, არის თუ არა სათანადო პირობები ვარჯიშისთვის და რამდენია წრეზე მოსწავლის მოსაკრებელი, რათა იცოდეს ჩვენი რაიონის მოსახლეობამ ეს ყოველივე?**

- გახსნილია კიკბოქსინგის წრე, რომელსაც ასწავლის ჩვენი რაიონის მოსახლეობისთვის კარგად ნაცნობი დამსახურებული მწვრთნელი, ძიუდოს ვიცეს-პიკერი თამაზ ყარაგვეზაშვილი, მოქმედებს ასევე კალათბურთის წრე, რომელსაც ზურაბ მეხრიშვილი ასწავლის, გვაქვს ფრენბურთის მეცადინეობები, პედაგოგი ალიკა მადოიანია და ახლახანს შეემატა მაგიდის ჩოგბურთის წრე, რომელსაც პედაგოგი ზურაბ პოპიაშვილი უძღვება. ასევე ჩვენთან ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი, რომელსაც გამოცდილი მწვრთნელი ზურაბ ჩალაბაშვილი ავარჯიშებს. თუმცა, გამოამინდებისთანავე სტადიონზე გადაინაცვლებს წვრთნები. ფუნქციონირებს ასევე თავისუფალი ჭიდაობის წრე, რომელსაც მე ვუძღვები. სპორტდარბაზში ძალიან კარგი პირობები გვაქვს, გვაქვს გათბობა, არის შხაპის მიღების საშუალება, გვაქვს ახალი საჭიდაო ლეიბები და თანამედროვე დონის აღჭურვილობა. რაც შეეხება მოსაკრებელს, ვინაიდან ჩვენ მუნიციპალიტეტიდან ვფინანსდებით, მოსწავლეებს თვეში თითოეული სახეობის მომზადებაში სიმბოლურად მხოლოდ ხუთ ლარს ვახდევინებთ, რაც, ვფიქრობ, არაა ხელმიუწვდომელი, რომ მშობელმა დაიხიოს უკან. იარონ სპორტზე, გაიკაჟონ სხეული და იყვნენ ბევრად უფრო სპორტულები და ჯანმრთელნი, ვიდრე სპორტის გარეშე ცხოვრებაა.

**- მახსენდება ის დრო, როდესაც, ტურნირში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენები და მწვრთნელები სპონსორებს ეძებდნენ, ფსიქოლოგიურად ეს ძალიან დამთრგუნველი იყო სპორტსმენისთვის და ხშირად ფინანსების არარსებობის გამო ეთიშებოდა კონკურსს. დღეს ამ დარბაზში გაცოცხლებული სპორტული ცხოვრება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სპორტს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა ჩვენმა ხელმძღვანელობამ, აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ აღარ წარმოადგენს პრობლემას არის თუ არა საკმარისი და ფინანსირება?**

- ამ მხრივ ბოლო წლებში უმაღლეს დონეზეა საკითხი დაყენებული, არ მახსენდება არცერთი მომენტი, რომ ჩვენი რაიონის სპორტსმენი, ასპარეზობაზე დაფინანსების გარეშე გაგვეშვას. ყველა მათგანს უპრობლემოდ ეძლევა საშუალება ყოველგვარი თხოვნის და ხვეწნის გარეშე, რომ გაიგზავნოს შეჯიბრებაზე, ამისთვის თითოეული სპორტსმენის სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო რაიონის გამგებელს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, ქალბატონ თამარ თამაზაშვილს, რომელთა დამსახურებაცაა ამ სპორტკომპლექსის ჩამოყალიბება და კარგი ფინანსური უზრუნველყოფა. მინდა აღვნიშნო ის, რომ ამჯერად ჩემი საკუთარი ავტომანქანით ვაგზავნი ყველა ტურნირის მონაწილეს შეჯიბრებებზე, რადგან ავტომანქანის გადმოცემა ჯერ არ მომხდარა, უახლოეს დღეებში კულტურის სამსახური გადმოგვცემს იმ მიკროავტობუსს, რომელიც, წესით, ჩვენ მოგვაკუთვნეს და ის ავტომანქანა ჩვენი სპორტსმენების სამსახურში იქნება, ისინი წავლენ ასპარეზობებზე, იქ დაელოდება ჩვენი მანქანა და ისევ მშვიდობიანად დაბრუნდებიან უკან. საერთო ჯამში, მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი ხელშეწყობა გვაქვს.

**- რამდენადაც ვიცი, ამ სპორტკომპლექსში გამაჯანსაღებელი „ტრენაჟორების" კაბინეტის არსებობს, სადაც, როგორც მანდილოსნებს, ასევე მამაკაცებს შეუძლიათ ივარჯიშონ. როგორია მოსახლეობის აქტიურობა და მოთხოვნა ამ კუთხით და რა ღირს „ტრენაჟორების" დარბაზში ერთი ვიზიტი?!**

- ეს დარბაზი ძალიან კარგად ამართლებს, განსაკუთრებით მანდილოსნები აქტიურობენ, მათ ჰყავთ კონსულტანტები. ძირითადად წონის კორექციისთვის დადიან, თუმცა ზოგი მასაჟის მიზნითაც იღებს ამ მომსახურებას. „ტრენაჟორების" დარბაზში სიარული ყველა ნორმალური მოქალაქისთვის ყოველდღიურობად უნდა იქცეს, ის ხელს უწყობს სტრესის, გადაღლილობის მოხსნას და, უპირველეს ყოვლისა, აჯანსაღებს მთელ ორგანიზმს, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას. ქალბატონებისთვის კვირის სხვა დღეები გვაქვს გამოყოფილი, ხოლო მამაკაცებისთის - სხვა. აბონენტს შეუძლია დღიურად გადაიხადოს 3 ლარი და ისარგებლოს დარბაზში შესვლით, არსებობს კიდევ ასეთი შეღავათები, საააბონენტო ბარათი, რომელიც ითვალისწინებს 12 ვარჯიშს, 30 ლარიანი ბარათებია, ხოლო მთელი თვის დატვირთვით თუ სურთ სიარული, მაშინ 50 ლარიანი ბარათი, რომელიც გაცილებით საკმარისი და შეღავათიანია, ვიდრე დღიური ფასი.



**- ამდენი სახეობის სპორტის ოსტატები ჩამოთვალეთ და არ დაგისახელებიათ ჭადრაკის სპეციალისტი, მე ვისურვებდი, რომ ჭადრაკის წრეც იყოს გახსნილი თქვენთან. ეს ყველაზე ინტელექტუალური სპორტის სახეობაა, იმედი მაქვს, ბევრი მსურველიც გამოჩნდება...**

- ჩვენც არაერთხელ გვიფიქრია ამაზე, თუმცა, ჭადრაკისთვის იზოლირებული, მშვიდი ოთახია საჭირო, ჩვენ კი ამისთვის სათანადო ოთახი არ გვაქვს, თუმცა, თავისთავად არაა ცუდი იდეა.

**- სპორტისადმი და გამაჯანსაღებელი ვარჯიშებისადმი დაინტერესების მიზნით, არ გიფიქრიათ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართოთ თქვენს სფეროში?! ასე მაგალითად, მოსახლეობის მოზიდვის მიზნით, რაიონის ორგანიზაციები მოიწვიოთ თითო დღე თქვენს სპორტდარბაზში და უფასოდ გაუწიოთ მომსახურება?**

- გვიფიქრია და ვაპირებთ კიდეც ამის განხორციელებას, არ იქნებოდა მართლაც ცუდი იდეა. მომავალში ამას აუცილებლად გავითვალისწინებთ, თუმცა, ჩვენ გვქონდა ასეთი მცდელობა, გავაფრთხილეთ ორგანიზაციები, მაგრამ ამაოდ, როგორც ჩანს, უნდა დავავალდებულო ყველა სამსახური, მართლაც კარგი იქნება ეს რეალობაში მოხდეს. ჩვენ ყველა ორგანიზაციას კარს გავუღებთ და ერთჯერადად უფასოდაც მივცემთ საშუალებას, მიიღონ გამამხნევებელი ვარჯიში.

**- როგორც სპორტსმენი და როგორც ამ ცენტრის დირექტორი, რას მოუწოდებთ ჩვენი რაიონის მოსახლეობას?**

-მე მოვუწოდებ რაიონის ყველა მაცხოვრებელს, ხანდაზმულს თუ ახალგაზრდას, მოვიდნენ ჩვენს ცენტრში, იკითხონ, გაიარონ კონსულტაცია, ატარონ შვილები... სპორტი აუცილებელია ყველა თაობისთვის, სპორტი ათავისუფლებს ადამიანებს ყველა სტრესისგან, ცუდი აურისგან. ბოლო დროს, თუ დააკვირდებით, ადამიანები სულ დაძაბული სახეებით დადიან, ღიმილი აკლიათ, მთავარი ავიწყდებათ, რომ მხოლოდ ჭამა არაა ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო, მისთვის ბევრად სასარგებლოა ვარჯიში. დააკვირდით, საზღვარგარეთ როგორ ცხოვრობს ხალხი, იქ არცერთი ადამიანი არ ცხოვრობს სპორტის და ყოველდღიური ვარჯიშის გარეშე.

**- მადლობა საინტერესო საუბრისთვის, მინდა, სულ წარმატებები გისურვოთ. არ დარჩენილიყოს სპორტის არცერთი სახეობა, რაშიც ჩვენს რაიონს გამარჯვებები და პირველობა არ ჰქონოდეს. მინდა დიდი სპორტული გამოცოცხლება ვიხილო ამ რაიონში. რაც შეეხება თაობათა სპორტულ გაჯანსაღებას, იმედს ვიტოვებთ, ამ ინტერვიუს შემდეგ უამრავი ადამიანი მიხვდება, რომ იცხოვროს ჯანსაღად, მაშასადამე სპორტულად.**

ლალი მეხრიშვილი

# ვალენტინობა-სიყვარულის დღე

***ბოლო დროს ქართველებს უცნაური ჩვევები დაგვჩემდა - უცხოურ დღესასწაულებს აღვნიშნავთ, მართალია, ბრმად, მაგრამ სამაგიეროდ - დიდი მონდომებით. 14 თებერვალს ვალენტინობაა, რომელსაც "მოფერებით" სიყვარულის დღეს ვუწოდებთ. მის შესახებ არც ისე დიდი ხანია, რაც გავიგეთ, სულ რამდენიმე წლის წინ. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ პირველი ევროპული, "მშვენიერი" დღესასწაულის შესახებ ინფორმაცია ალბათ ტელევიზიით გავრცელდა და აიტაცეს ბავშვებმა, ახალგაზრდებმა და ზრდასრულმა ადამიანებმაც კი...***

არ ვაპირებ, ვრცლად მოგიყვეთ წმინდა ვალენტინის შესახებ, რადგან ისედაც ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ იმისთვის, რაც ქვევით უნდა მოგახსენოთ, აუცილებელია,






მოკლედ შეგახსენოთ.

ინტერნეტს თუ "გადავქექავთ", მის შესახებ უამრავ ინფორმაციას გადავაწყდებით. ერთი ლეგენდის თანახმად, III საუკუნის ბოლოს, რომის მრისხანე იმპერატორი მარკუს ავრელიუს კლავდიუს II მიიჩნევდა, რომ მარტოხელა მამაკაცი, რომელსაც ოჯახი და საყვარელი ქალი არ ჰყავდა, უკეთ იბრძოდა და ემსახურებოდა სამშობლოს, ვიდრე დაოჯახებული და წვრილშ-ვილიანი. ამიტომაც, ქორწინება აკრძალა! ვალენტინი ამ წმინდა ქრისტიანულ საიდუმლო წესს იმპერატორის მალულად აღასრულებდა. ის უბრალო მღვდელი იყო და უამრავი წყვილის დაქორწინება მოასწრო, ბოლოს კი ციხეში აღმოჩნდა, სადაც სიკვდილით დასჯის მოლოდინში ზედამხედველის ქალიშვილი, ჯულია გაიცნო. შეყვარებულმა მღვდელმა გოგონას სიკვდი-ლის წინ სასიყვარულო ბარათი დაუწერა, რომელიც შემდგომში ვალენტინობის სიმბოლოდ იქცა. 269 წლის 14 თებერვალს წმინდა ვალენტინი სიკვდილით დასაჯეს, 1969 წელს კი ეს დღე კალენდარში შეიტანეს და ყოველ 14 თებერვალს კათოლიკე გოგო-ბიჭები ვალენტინობას აღნიშნავენ.

**შესაძლოა, გადააწყდეთ სხვა ინფორმაციასაც, რომლის თანახმად, ვალენტინობა მართლმადიდებლური დღესასწაულია. თუ ასეა, გამოდის, რომ ეკლესიაც აღნიშნავს სიყვარულის დღეს?**

არა, ჩემო კარგებო, საქმე გაცილებით რთულადაა: 14 თებერვალს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ვალენტინის ხსენების დღეს არ აღნიშნავს!

პირველ რიგში, თუ ნამდვილი ისტორიული წყაროებიდან გავეცნობით ვალენტინის ცხოვრებას, აღმოვაჩენთ, რომ ის, რაც ლეგენდაშია გადმოცემული, სიმართლეს არ შეესაბამება თუნდაც იმიტომ, რომ ჯვრისწერისა და ქორწინების საიდუმლო გაცილებით გვიან დადგინდა ეკლესიაში. და მეორე: ვალენტინობას ქრისტიანულ დღესასწაულს ვერ ვუწოდებთ, რადგან პირდაპირ არღვევს მეშვიდე მცნებას - არ იმრუშო. ეს მცნება კრძალავს შემდეგ ცოდვებს: უბიწოების შებღალვა აზრით, სიტყვით, საქმით.

ეს რა შუაშიაო, იტყვით. საქმე ის გახლავთ, რომ ე.წ. სიყვარულის დღეს ქალაქის განათებულ თუ ჩაბნელებულ ქუჩებში უამრავ "მოზასავე" წყვილს შეხვდებით, რომლებიც არც სამსახურიდან შინისაკენ მიმავალ გამვლელებს ერიდებიან და არც შედარებით მორიდებულ წყვილებს, რომლებიც ასე სახალხოდ ხვევნა-კოცნას ვერ ბედავენ... უფრო მეტად აღარ ჩავუღრმავდები, რადგან ეს უკვე სხვა პრობლემაა...

არ იფიქროთ, ვინმეს იმის გამო ვსაყვედურობ, რომ დღესასწაულის აღნიშვნას ან საყვარელი ადამიანისთვის ლამაზი საღამოს ჩუქებას აპირებს. უბრალოდ, ვფიქრობ, სანამ დასავლეთიდან რამეს ბრმად გადმოვიტანთ, ალბათ ჯობია, მის არსში გავერკვეთ...

ახალი წლის ციებ-ცხელება ახლახან ჩადგა და უკვე ვალენტინობის "ფუსფუსი" იწყება. ყველა ცდილობს, საყვარელ ადამიანს საუკეთესო საჩუქარი მიუძღვნას (შესაძლებლობის ფარგლებში, რა თქმა უნდა)... დილიდან იწყება მისალოცად ტელეფონზე დარეკვა და მესიჯების გაგზავნა... მანდილოსნები მოუთმენლად ელიან გულის სწორისგან საჩუქარს.

საჩუქრის ფასი ან ორიგინალობა სიყვარულის საზომადაა მიჩნეული... ძვირია? - ე.ი. ვუყვარვარ...

მაგრამ ყველა მედალს აქვს 2 მხარე და ვალენტინობის "მედალიც" არაა გამონაკლისი.

იმან რა ქნას, ვისაც მეორე ნახევარი არ ჰყავს და ვისი გულიც თავისუფალია? თუ კარგად დავუკვირდებით, 14 თებერვალს გოგონები შეიძლება 2 ჯგუფად დავყოთ: ერთნი ტირიან იმის გამო, რომ ამ დღეს მარტოობაში ხვდებიან, დანარჩენები - თავიანთ თაიგულებსა და საჩუქრებს ფოტოებს უღებენ და "ფეისბუკზე" გამოფენენ. ასე რომ, ჩემი აზრით, ვალენტინობა ის დღესასწაულია, რომელიც პარტნიორის არსებობის მიხედვით მოსახლეობის დისკრიმინაციას ეწევა.

საერთოდ, წვს (წმინდა ვალენტინის სინდრომი) სეზონური მწვავე დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს "პაციენტის" უაზრო ბორიალი სოციალურ ქსელებში რომანტიკულ სტატუსებსა და სევდიან მუსიკას შორის, ასობით ლაიქების დასმა სხვების თაიგულებზე და ცრემლდენა ბალიშში, - ფორევერ-ალონე-სტყლე. დაავადება იკურნება ავადმყოფის საზოგადოებისგან იზოლაციითა და სიმშვიდით...

შეყვარებულ ბედნიერ ქალთა "ფეისბუკსტატუსები" და სახალხოდ გამოფენილი საჩუქრების სურათები გაცილებით ღრმა დეპრესიას იწვევს უსიყვარულოდ დარჩენილებში და ამწვავებს მარტოობის შეგრძნებას. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, ნუ შეხვალთ მაგ დღეს "ფეისბუკში". ნერვებსაც დაზოგავთ და თანაც, სხვებს ეგონებათ, რომ პაემანზე ხართ. შემდეგ ინტერნეტიდან გადმოწერეთ ყველაზე დიდი და ლამაზი თაიგულის ფოტო და გვინ ღამით ან 15 თებერვალს, დილით, საკუთარ კედელზე დადეთ...




არანაკლებ საინტერესოა ისიც, თუ რომელი დღესასწაული ჩაანაცვლა ვალენტინობამ.

**ლუპერკალია** ძალიან საინტერესო რამ ყოფილა: ქალღმერთ იუნონასა და ღმერთ ფავნასადმი (ლუპერკისადმი) მიძღვნილი, ეროტიკული დღესასწაული და ეს დღე 14 თებერვალს აღინიშნებოდა. ყოველი წლის 14 თებერვალს ლუპერკალია-ს დღეს მსხვერპლად სწირავდნენ ცხოველებს, მათ ტყავს აცლიდნენ და მათრახებს აკეთებდნენ. შემდეგ ახალგაზრდა კაცები იღებდნენ ამ მათრახებს და ქალებს მიერეკებოდნენ ქალაქში. როგორც ჩანაწერებიდან ვიგებთ, ამ დღის მთავარი მოქმედი პირნი შიშველი მამაკაცები იყვნენ მათრახებით, რომლებიც ქალებს სცემდნენ. ქალები კი ფიქრობდნენ, რომ ამგვარი ცემის შემდეგ უფრო ნაყოფიერები გახდებოდნენ და შვილებსაც ადვილად გააჩენდნენ. ეს ძალზე გავრცელებული რიტუალი იყო რომში, რომელშიც დიდგვაროვნებიც კი მონაწილეობდნენ.

494 წელს, რომის პაპმა გელასიუს პირველმა აკრძალა ლუპერკალიის აღნიშვნა და წმინდა ვალენტინის სახელობის დღესასწაული დაადგინა. ასე ჩაანაცვლა ცრუმორწმუნე აღვირახსნილი ლუპერკალიის დღესასწაული წმინდა ვალენტინის ხსენების დღემ.

ზოგისთვის ეს დღე დღესასწაულია, ზოგიერთისთვის - ევროპიდან შემოსული, ჰელოუინის მსგავსი სისულელე.

**ნეტავ, დღემდე რომ არსებობდეს ლუპერკალია, რამდენი ქალი დათანხმდებოდა სიყვარულის დასამტკიცებლად საქვეყნოდ გაროზგვას?**

მგონია, რომ სიყვარულს სულაც არ სჭირდება არავითარი დღესასწაული და კიდევ ერთი საბაბი, თბილი სიტყვების სათქმელად.

დამეთანხმებით ალბათ, რომ თუ სიყვარული არსებობს, ყოველი დღე სიყვარულისაა. საჩუქრის ყიდვასა და საყვარელი ადამიანის გახარებასაც არავინ გვიკრძალავს სხვა დღეებში, არც კაფესა თუ რესტორანში დაპატიჟებას... სიყვარული ხომ ისეთი რამაა, რასაც ყოველდღე უნდა გრძნობდე და არა - წელიწადში ერთხელ. სიყვარული არასოდესაა ჭარბად და არასოდე-საა საკმარისი...

**ჰოსპისის** (სამედიცინო დაწესებულება, სადაც სასიკვდილო სენით შეპყრობილ ადამიანებზე ზრუნავენ, ოჯახურ გარემოს უქმნიან, სიცოცხლის ბოლო დღეებს ულამაზებენ და უმსუბუქებენ) თანამშრომლების მტკიცებით, ადამიანები, სიცოცხლესთან გამოთხოვების ბოლო დღეებში ყველაზე მეტად იმის გამო წუხდნენ, რომ არასაკმარისად უყვარდათ. იმის გამო კი არ წუხდნენ, რომ ცოტას მუშაობდნენ, ცოტა ფული ჰქონდათ ან ცოტა სიმდიდრე დააგროვეს. **თითოეულ მათგანს სიყვარულის სიმცირე აწუხებდა.**

ისე, ამდენს რომ ვლაპარაკობთ სხვა ქვეყნებიდან შემოსულ დღესასწაულებზე, იქნებ ჩვენც გვეზრუნა და სუფრის სადღეგრძელოებიდან ზოგიერთი იდეა რეალობად გვექცია, ასე, მაგალითად, კარგი იქნებოდა, სამშობლოს სიყვარულის დღეს თუ დავაწესებდით; უბრალოდ, ადამიანებისა და ერთმანეთის სიყვარულის დღეს... თუმცა, არც ამას სჭირდება გარკვეული თარიღის დაწესება, მაგრამ ამ გადარეულ, ღვარძლით, ბოღმით, სისასტიკით სავსე სამყაროში იქნებ წელიწადში ერთხელ მაინც შევახსენოთ ადამიანებმა ერთმანეთს, რომ გარდა საპირისპირო სქესის სიყვარულისა, სხვა უამრავი, მნიშვნელოვანი "სიყვარულები" არსებობს, რომელთა გარეშეც სწორედ იმ სიყვარულს ეკარგება ფასი, რომელსაც 14 თებერვალს აღვნიშნავთ.



ძლიერ, ნაზ, მგრძნობიარე, დაუვიწყარ, თბილ, ვნებიან, ალერსიან, წარმტაც, უკიდეგანო, ლამაზ, წრფელ, ბედნიერ, თავბრუდამხვევ სიყვარულს გისურვებთ არა მარტო ამ დღეს, არამედ ხვალაც, ზეგაც და მუდმივად. ერთი სიტყვით, ფორ ევერ ანდ ევერ.

აჩუქეთ სიყვარული თქვენს მეორე ნახევრებს, ადამიანებს და სამყაროს ყოველდღე, მთელი ცხოვრების მანძილზე და არა - მხოლოდ წელიწადში ერთ დღეს.

## ხსოვნა

### ლიზიკო მეხრიშვილი

16 თებერვალს 40 დღე შესრულდება, რაც მარადისობაში გადაინაცვლა შენმა ლამაზმა სულმა. გამორჩეული ცხოვრებით იცხოვრე და შენი ღვაწლიც შთამბეჭდავი იყო სოფელ სამრეკლოში. კარგი და მზრუნველი ადამიანი იყავი ყველასთვის, და რა გასაკვირია, რომ ახლობლებსაც თავი განსაკუთრებული სითბოთი დაამახსოვრე. ჩვენ კი, შენს ახლობლებს, დაგვიტოვე მოგონებები, რომელიც კარგ რძალ-მულს ერთად გაგვიტარებია. საუკეთესო და იყავი შენი ძმისთვის- დიმიტრი მეხრიშვილისთვის, რომელმაც ეს წუთისოფელი შენზე ადრე დატოვა და გული სიცოცხლეშივე მოგიკლა. მსუბუქი იყოს, ჩემო ლიზიკო, შენს მკერდზე დაყრილი მიწა. ნათელში გამყოფოს უფალმა, გახსოვდეს და გეგულებოდეთ ჩვენ აქ დამრჩენი ხალხი, რომელიც შენი ხსოვნისთვის თითო ჭიქას ყოველთვის წავაქცევთ, მოგიგონებთ და ღმერთს შევევედრებით, რომ სასუფეველი დაუმკვიდროს შენს კეთილ სულს.

**პატივისცემით,**
**შენი რძალი** თამარ ზედელაშვილი
და **ძმისშვილი** ნანა მეხრიშვილი.

# ჩემთვის კონსერვატორიის ეს დიპლომზე აღმატებული იყო შიუკაშვილის სიტყვები




ვალერიან შიუკაშვილი მსოფლიო მნიშვნელობის ის ქართველი მუსიკოსია, რომლებიც მსოფლიოს საუკეთესო პიანისტთა ოცეულშია შესული.

ამ გენიალურმა პიანისტმა ქართველთა პატარა მუსიკოს-შემსრულებლებისათვის დაარსა მუსიკალური ფესტივალი „ხელოვნების აკადემიის“ ეგიდით.

ფესტივალი შარშან დაარსდა და იმართება წელიწადში ერთხელ დასავლეთ საქართველოში(ქ.სენაკში) და აღმოსავლეთ საქართველოში. ( ქ. თელავი)

ფესტივალის მიზანი არ არის ადგილების განაწილება. ფესტივალში მთავარია დასკვნით გალა -კონცერტში მოხვედრა და დიპლომის მოპოვება. ( სენაკში შარშანდელი მონაცემით 7000 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.)

წელს ქ. თელავში 3 დღეს მიმდინარეობდა ფესტივალი. გამოვიდნენ სახელოვნებო სკოლების ექვსწლედები და ქ. სიღნაღის და ქ. თელავის თერთმეტწლიანი სკოლები.

იანვრის თვეში, სულ შემთხვევით, ინტერნეტში გადავაწყდი შიუკაშვილის ფესტივალს. შიუკაშვილი, რომ უდიდესი მუსიკოსი იყო, რა თქმა უნდა, ვიცოდი, მაგრამ რა სინდისით გავრისკე წასვლა, მე თვითონაც არ ვიცი. შევთავაზე 2 მოსწავლეს და 2 პედაგოგს ამ ფესტივალზე გასვლა. სამეცადინო დრო სულ 2 კვირა რჩებოდა. 1 სემესტრის პროგრამებიდან რამე უნდა შეგვერჩია.

5 თებერვლის ფესტივალი ჩვენმა მოსწავლეებმა გახსნეს. ესენი იყვნენ მე-4 კლასის მოსწავლე აბრაამ ახალაური. პედაგოგ ნინო ნიკვაშვილის კლასიდან და მე-7 კლასის მოსწავლე მალვინა ისმაილოვა პედ. თამილა ნადირაშვილის კლასიდან.

დღეს მინდა სიმართლე ხმამაღლა ვთქვა. ამ 25 წლის მანძილზე. რაც მე დედოფლისწყაროში ვმუშაობ, კონკურსზე კახეთსა თუ თბილისში, ჩემი თუ სხვისი მოწაფე არ გაიმარჯვებდა,თუ გაიმარჯვებდა, ჟიურის შეფასების კრიტერიუმებით ყოველთვის, მეტნაკლებად უკმაყოფილო ვიყავი, რადგან ნაკლებად ექცეოდა ყურადღება ყველაზე მთავარს, ანუ მოწაფის ხელს, პიანისტურად სწორ გზაზე იდგა თუ არა ესა თუ ის შემსრულებელი. ცოტას დავწვრილმანდები. უნიჭიერესი მსახიობის ენას, ან ტუჩს, ან ხორხს თუ რამეს დამართებენ, განა მისი მეტყველება ბუნებრივი დარჩება ? განა მის ნიჭს არ დააბრკოლებს ეს ტექნიკური ნაკლი?

ინსტრუმენტალისტების ენა კი მისი ხელია, ამიტომ უზარმაზარ მნიშვნელობას ვანიჭებ ხელს და საერთოდ, მაღალ პროფესიონალ მუსიკოსად ვთვლი იმ მუსიკოსს, რომელსაც ესმის პიანიზმის საიდუმლო და ბგერა. მოსწავლე ისე უნდა გაზარდო (არაეფექტებით), რომ მომავალში მისი ხელი არ დაბრკოლდეს პიანიზმში. ეს ძალიან ფაქიზი, დელიკატური სამუშაოა. აი, ამას ვერ ვხედავდი, რომ რომელიმე კონკურსზე ჟიურის ამაზე გაემახვილებინა ყურადღება, ამ ფესტივალზე კი ჩემთვის სასწაული მოხდა.

ფესტივალის პირველ დღეს დაამთავრეს თუ არა გამოსვლა აბრაამმა და მალვინამ, უცებ დარბაზში შიუკაშვილის ხმა გაისმა: „დედოფლისწყაროელი პედაგოგები ადექით ფეხზე“. ავდექით და შევტრიალდით ჟიურისკენ. უცებ ბატონი ვალერიანი მთელი დარბაზის გასაგონად ამბობს: „აი, ეს არის ის რასაც ვეძებ, აი, ეს არის სწორი გზა. აი, ეს არის სწორი ბგერა, რატომ შარშან არ გამოხვედით ფესტივალზე?“

ვუპასუხე: – სკოლაში რემონტი იყო, ძალიან არეულები ვიყავით, მაგრამ, მინდა იცოდეთ, მალვინამ შარშან სოლო კონცერტი გამართა“;

ჟიურის გაკვირვება შევნიშნე. შიუკაშვილმა მალვინას მიმართა: „აპრილში ბახის კონკურსია თბილისში. აუცილებლად ჩამოდი“.

დასრულდა ფესტივალის პირველი დღე. (მოსმენა მე-2 დღესაც გრძელდებოდა) გამოაცხადეს გალა -კონცერტში მოხვედრილი ბავშვები. ჩვენმა ორივე მოწაფემ მიიღო დიპლომი და გალა კონცერტში მონაწილეობის უფლება.

ცოტა კიდევ დაწვრილებით, რადგან შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს.

კახეთში ყველგან ექვსწლიანი სახელოვნებო სკოლებია. თერთმეტწლიანი სკოლა არის მხოლოდ სიღნაღში და თელავში, ყოფილი მუსიკალური ტექნიკუმების ბაზაზე. მოგეხსენებათ, ბევრს დაუმთავრებია სიღნაღისა და თელავის მუსიკალური ტექნიკუმები.

> მადლობას ვუხდი მარიამ კიკილაშვილს ფსიქოლოგიური თანადგომისათვის და იმ მეთოდური დახმარებისათვის, რომელიც გასწია ჩემი მოწაფისათვის.
>
> **პატივისცემით,**
> პედაგოგი ნინო ნიკვაშვილი.

ამ ფესტივალზე გამოვიდნენ ყოფილი ტექნიკუმების ანუ თერთმეტწლიანი სკოლების მაღალი კლასელები: მე-8; მე-11 კლასელები. საკმაოდ რთული პროგრამები დაუკრეს, მაგრამ პიანიზმი არ იყო სწორი, ანუ გზა არ იყო სწორი. ამიტომ, გალა კონცერტზე ვერ მოხვდნენ. იმ მაღალი კლასის მოწაფეებს, რომლებიც ასე ეფექტურად ახმაურებდნენ ინსტრუმენტს, ჩვენმა პატარებმა აჯობეს, ჩვენი პატარების ხელში როიალმა სიმღერა დაიწყო. „რადგან გზა იყო სწორი“, ალბათ ხვდებით ამ ჩემს წკიპურტებს.

მადლობა თამილა ნადირაშვილს, ამ შესანიშნავ, დახვეწილი გემოვნების მუსიკოსს, რომელმაც წარსულში დედოფლისწყაროს მსოფლიო დელფიური მოძრაობის ლაურეატიც კი აჩუქა.

მადლობა პატარა მალვინას, რომელსაც ისე უყვარს კლასიკური მუსიკა, რომ ექვსწლედის დამთავრების შემდეგ ისევ მოადგა ჩვენი სკოლის კარს.

მადლობა ნინო ნიკვაშვილს, მისი ტაქტის უზადოდ განცდის უნარია სწორედ მიზეზი, რომ მისი მოწაფე ასე წარმატებულად გამოვიდა.

მადლობა პატარა და ასე დიდ აბრაამს.

გალა კონცერტი (7 თებერვალი) დასრულდა გადაჭედილ დარბაზში, კიბეებიც სავსე იყო მსმენელებით, კონცერტის ბოლოს დარბაზი გააბრუა თვითონ ვალერიან შიუკაშვილის პიანიზმმა. იყო დიდი სიხარული, იყო სიყვარული და იმედიანი განშორება.

**დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დირექტორი:**
მარიამ კიკილაშვილი




## ულოცავენ!

### ნიკოლოზ ჯანიაშვილს!
### მაკა მეტრეველს!

გილოცავთ ქორწინების და სიყვარულის დღეს. გისურვებთ ბედნიერებას, აკვანთა სიმრავლეს და დიდ სიყვარულს!

**პატივისცემით,**
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა

### ნიკოლოზ ჯანიაშვილს!

გულწრფელად გილოცავთ ქორწინების დღეს. თქვენს რჩეულთან, მაკა მეტრეველთან ერთად, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, სიყვარულს, ბედნიერებას და აკვანთა სიმრავლეს.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**პატივისცემით,**
სამრეკლოს საჯარო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია.

### კაკო მაჩაბლიშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო-65 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას შენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. გვეამაყება, რომ შენი წვლილი შეიტანე იმ კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტი ემსახურები. გვიხარია, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ დააფასა შენი შრომა და საქმის ერთგულება და სხვა მრავალ ჯილდოს კიდევ ერთი სიგელიც შეემატა. იყავი კვლავაც მხნე და შემართული. წარმატებებს გისურვებთ. გვიყვარხარ, გკოცნით და გეფერებით.

**დედა** ნორა; **დები**: გულიკო და ეთერი; **დისშვილები**:
დომიკო და ცისმარი ალადაშვილები, მაკა და ეკა
ნატროშვილები ოჯახებით.

### თამრიკო და თამაზ ჯანიაშვილებს!

ჩვენო კეთილო მეზობლებო, გილოცავთ შვილების ნიკოლოზ ჯანიაშვილის და მაკა მეტრეველის ქორწინების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ტკბილ სიბერეს, თვენს საუკეთესო შვილებთან, რძლებთან და შვილიშვილებთან ერთად.

ახალადდაქორწინებულებს ვუსურვებთ, ეს დღე ყოფილიყოს მარადიული სიყვარულის, სიხარულის და ბედნიერების მომტანი. რაც ყველაზე მთავარია, ვუსურვებთ მათსავით ლამაზი, უანგარო და სიკეთით სავსე შვილების აღზრდას.

**პატივისცემით,**
კლარა ოზაშვილი, გუგული, ალეკო და
ლალი ალადაშვილები ოჯახებით.

## იყიდება!

იყიდება კაპიტალური ორსართულიანი აგურის ბინა ჩართული ცენტრალურ კანალიზაციაში, მეზობლად მდებარე სახლში ორი ოთახის დამატებით. მისამართი: 9ძმის ქუჩა N6. საწყისი ფასი 26000$.

☎ 598 47 56 21

## ქირავდება!

ქირავდება 50 კვადრატული მეტრის კომერციული ფართი. **მისამართი:** ჰერეთის ქ. N41(ყოფილი სტალინის ქუჩა), პირველი სართული, ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 599 14-29-73, იკითხეთ გულო.

## ყურადღება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი ატარებს ინტელექტუალურ თამაშს „რა, სად, როდის?“ უფროს ასაკობრივ ჯგუფში (არ ეხება საჯარო სკოლების მოსწავლეებს). ყველა მსურველს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ორგანიზაციას, შეუძლია წარმოადგინოს განაცხადი სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

☎ 551 34-03-25

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 16.02 დღე | ორშაბათი 16.02 ღამე | სამშაბათი 17.02 დღე | სამშაბათი 17.02 ღამე | ოთხშაბათი 18.02 დღე | ოთხშაბათი 18.02 ღამე | ხუთშაბათი 19.02 დღე | ხუთშაბათი 19.02 ღამე | პარასკევი 20.02 დღე | პარასკევი 20.02 ღამე | შაბათი 21.02 დღე | შაბათი 21.02 ღამე | კვირა 22.02 დღე | კვირა 22.02 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 ° | 1 ° | 0 ° | -1 ° | -3 ° | -4 ° | -3 ° | -4 ° | 0 ° | -1 ° | 0 ° | -1 ° | 3 ° | 2 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K